საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

1449-01-2-201904010945

N 01/1449
01/04/2019

ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს,
ბატონ დავით ქუტიძეს
info@factcheck.ge

ბატონო დავით,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში 2019 წლის 14 მარტს შემოსული თქვენი 2019 წლის 12 მარტის №61 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 2013 წელს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მართვაში არსებულ შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიას“ (შემდგომში - კომპანია) საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე დაევალა საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი (ასაქცევი)-სარფი (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ117- კმ119 (კვარიათი-სარფის) მონაკვეთის (ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ) აღდგენა– გამაგრების და ქვის ცვენისაგან დაცვის და ფერდობების გამაგრების სამუშაოების განხორციელება. სამუშაოები უნდა განხორციელებულიყო პროექტირების პარალელურ რეჟიმში, ეტაპობრივად შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

აღნიშნული პროექტის ღირებულება შეადგენს ჯამში - 57 514 777 (ორმოცდაჩვიდმეტი მილიონ ხუთას თოთხმეტი ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტი) ლარს, საიდანაც:

ა) საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი (ასაქცევი)-სარფი (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის სარფი-კვარიათის სანაპირო ზოლის კმ117-კმ119 (კალენდერეს კონცხის მონაკვეთი) ნაპირსამაგრი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების ღირებულებაა ჯამში - 43 397 870 (ორმოცდასამი მილიონ სამას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას რვაას სამოცდაათი) ლარი;

ბ) საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი (ასაქცევი)-სარფი (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ118+960-კმ119+205 მონაკვეთზე არსებული ესტაკადის ზღვის ზემოქმედების შედეგად გამორეცხვის საწინააღმდეგო ღონისძიებების, გზის სავალი ნაწილისა და მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოების ღირებულებაა ჯამში - 2 273 180 (ორი მილიონ ორას სამოცდაცამეტი ათას ას ოთხმოცი) ლარი;

გ) საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი (ასაქცევი)-სარფი (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ117-კმ119 მონაკვეთზე მთის ფერდობის ჩამოწმენდისა და გამაგრების სამუშაოების ღირებულებაა ჯამში - 4 241 630 (ოთხი მილიონ ორას ორმოცდაერთი ათას ექვსას ოცდაათი) ლარი;

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

დ) საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი (ასაქცევი)-სარფი (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის სარფის მონაკვეთზე (კმ119) ნაპირდამცავი ნაგებობის რეკონსტრუქციის და ნაპირის (პლაჟის) აღდგენი
სამუშაოების ღირებულებაა ჯამში - 2 336 757 (ორი მილიონ სამას ოცდათექვსმეტი ათას შვიდას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარი;

ე) საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის სარფის მონაკვეთზე (კმ119) ნაპირდამცავი ნაგებობის რეკონსტრუქციის და ნაპირის (პლაჟის) აღდგენითი სამუშაოების ღირებულებაა ჯამში - 5 265 340 (ხუთი მილიონ ორას სამოცდახუთი ათას სამას ორმოცი) ლარი.

ზემოაღნიშნული პროექტების დაფინანსების მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე, 2013 – 2017 წლებში, კომპანიას სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყო 45 000 000 (ორმოცდახუთი მილიონი) ლარი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პროექტის განხორციელების დავალება გაკეთდა კომპანიაზე, შესაბამისად, პროექტის ფარგლებში „შემსყიდველი“ არ არსებობს და უშუალოდ კომპანია ახორციელებს სამუშაოებს.

2019 წლის 1 მარტის მდგომარეობით, კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოებისა და თანმდევი მომსახურების ღირებულება შეადგენს 35 162 735 (ოცდათხუთმეტი მილიონ ას სამოცდაორი ათას შვიდას ოცდათხუთმეტი) ლარს, მათ შორის, საექსპერტო, საზედამხედველო და საპროექტო ხარჯმა შეადგინა, ჯამში - 916 162 (ცხრაას თექვსმეტი ათას ას სამოცდაორი) ლარი. აღნიშნული დადასტურებულია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნებით.

ზემოაღნიშნული პროექტებიდან დღეის მდგომარეობით დასრულებულია:

ა) საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი (ასაქცევი)-სარფი (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ118+960-კმ119+205 მონაკვეთზე არსებული ესტაკადის ზღვის ზემოქმედების შედეგად გამორეცხვის საწინააღმდეგო ღონისძიებების, გზის სავალი ნაწილისა და მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოები;

ბ) საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი (ასაქცევი)-სარფი (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ117-კმ119 მონაკვეთზე მთის ფერდობის ჩამოწმენდისა და გამაგრების სამუშაოები;

გ) საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი (ასაქცევი)-სარფი (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის სარფის მონაკვეთზე (კმ119) ნაპირდამცავი ნაგებობის რეკონსტრუქციის და ნაპირის (პლაჟის) აღდგენითი სამუშაოების ორივე პროექტი.

რაც შეეხება საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი (ასაქცევი)-სარფი (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის სარფი-კვარიათის სანაპირო ზოლის კმ117-კმ119 (კალენდერეს კონცხის მონაკვეთი) ნაპირსამაგრი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების შესრულებას, აღნიშნული სამუშაოების უმეტესი ნაწილი, კერძოდ, 23 729 246 (ოცდასამი მილიონ შვიდას ოცდაცხრა ათას ორას ორმოცდაექვსი) ლარის სამუშაოები დასრულებულია. პროექტის განხორციელების ფაზაში გამოიკვეთა რიგი პრობლემური საკითხები, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვის მოპოვებასთან დაკავშირებული სირთულეები. მათ შორის, კირნათის კარიერიდან, რომლიდანაც ხდებოდა ობიექტის ქვით მომარაგება, იქვე არსებული კასკადური ჰიდროელექტრო სადგურიდან გადამცემი ხაზის სამონტაჟო სამუშაოების განხორციელების შემდგომ, შეუძლებელი გახდა ქვის მოპოვება (როგორც ტრანსპორტირება, ასევე ბურღვა-აფეთქების წარმოება) ხაზთან სიახლოვის გამო. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალახმელისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკონის მიმდებარე ტერიტორიებიდან სამწუხაროდ საშენი მასალის (ანდეზიტო-

ბაზალტის) მოპოვება შეუძლებელი გახდა, ვინაიდან კარიერში ფაქტიურად არ აღმოჩნდა საჭირო რაოდენობის (1,65მ დიამეტრის) ქვა, რომელიც პროექტით არის გათვალისწინებული. ამჟამად, დარჩენილი ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები დროებით შეჩერებულია, და მიმდინარეობს არსებული პროექტის კორექტირება.

ამასთან, გაცნობებთ, რომ სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ აღმოჩენილია ხარვეზები პროექტის განხორციელებაში, რაზეც განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოები განახლდება საპროექტო დოკუმენტაციის დასრულების შემდგომ სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტის მიერ.

რაც შეეხება ზემოაღნიშნული პროექტის საპროექტო დოკუმენტაციას, გაცნობებთ, რომ აღნიშნული სამინისტროში არ არის დაცული, ხოლო სურვილის შემთხვევაში მათი გაცნობა შესაძლებელია შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიაში“.

პატივისცემით,

დავით მეტრეველი

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი